სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის_მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363


# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა


გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ციტო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцелл"
Гифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363



ვასილ როინაშვილი და ბაიანე წიქლაურისა ამით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს დილუბეში წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნება ნახევარი წლის პანაშვიდი

**ალექსანდრე როინაშვილისა**



იბეჭდება და მალე გამოვა

**მიო არაგვისპირელის**

**მოთხრობები**



სელოსანთა [illegible]ანაგობა **„შრომა"**

ქარხანამ მოიწვია გამოჩენილი ოსტატი, მეჩუქურთმე და კანკელის მკეთებელი, ა. აფ. ბატანოვი; მოიწვია აგრეთვე კარგი მცოდნე მებელის გადაკვრისა გ. ჯაფარიძე. ამიტომ „შრომა" იღებს შეკვეთას და პირობას სდებს, რომ ძალიან კარგად შეასრულებს საქმეებს: სადურ[...]ოს, საჩუქურთმოს, სახარატოს, კანკელისა და ძვირფას კარებების [...]ეთებას, მებელის გადაკვრას, ფარდების გაკეთებას და ოთახების ძორთვას, ლეიბების გაკეთებას და სხვა.

ამ ჟამად ქარხანასთან მებე[...]ის საწყობიც არის გამართული, სადაც იყიდება:

1. დიდი და მშვენიერი აბანოზის ბუფეტის შკაფი . 160 მ.
2. ქორაფის შკაფი ტანის[...]სისა . . . . . 120 „
3. ლეიბები ზღვის ბალახისა . . . . . 5 „
4. წიგნის შკაფები . . . . . . . 30—35 მ.
5. შიფანელკა . . . . . . . . 80 მ.

პირის-საპანები, პატარა შკაფები, სადილისა და საწერი მაგიდები.

„შრომის" კანტორა ეძებს ქართველ ქალს, რომელმაც უნდა იცოდეს ქართული და რუსული წერა. ჯილდოდ დაენიშნება 12 მანათი. (100—52)



**1899** წლისათვის ვაპირებ გამოცემას

**უბის წიგნისას კალენდრით**

რომელიც დაიბეჭდება რიცხვით 5000-მდე. ვიღებ განცხადებებს პირველ გვერდზე—5 მან., უკანასკნელზე—2 მან.

ადრესი. *Квирилы. Ивану Ардишвили.* (15—2)



შპალერების საწყობი

**ი. გ. მელიქიშვილისა**

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

ფასი უველაფერზე იაფია

შპალერი თვითო ნაჭერი **8** კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე

ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**

**I. Г. МЕЛИКОВА**

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 81)



**ექიმი**

**კ. ი. გძელიშვილი**

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.

Докторъ К. И. Гдзелишвили.

Михайловская, противъ кирки.

(100—58)



დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

**ბენკლევსკი**

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

**Докторъ медицины и хирургъ**

**БЕНКЛЕВСКIЙ**

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)



სამკურნალო და ამბულატორია

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორია ი არის კაბინეტი საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო ირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница В. С. Топурiа* въ Кутаисѣ.


## ახალი ამბავი

* * * ერობის საქმე კავკასიაში. ბორჩალოსა და დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გამოუგზავნეს ტფილისის დეპუტატთა კრებას მაზრის თავად-აზნაურთა კრებების ოქმები ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ. ამ სახით არავითარი დაბრკოლება აღარ არსებობს გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების საჩქაროდ დანიშვნისათვის აღნიშნულ კითხვის საბოლოოდ გადასაწყვეტად. („ნოვ. ობ.")

* * * კრედიტით დახმარება. როგორც ისმის, ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია გაგზავნოს დირექტორი თ. ვ. ს. მიქელაძე კახეთს, სადაც მან დახმარება უნდა აღმოუჩინოს კრედიტით იმ მევენახეთ, რომელთაც ვერ უსარგებლნიათ წლევანდელი ბარაქიანი მოსავლით, რადგან ჩარჩ-ვაჭრებს და წურბელებს ხელოვნურად დაუწევიათ ფასი ღვინოზე.

* * * ქალაქის დასუფთავების საქმე. ქალაქში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა დათვალიერება დაამთავრეს გუშინ, 13 ნოემბერს. ზოგიერთი ფურნე, დუქანი და სხვა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება ისეთ საზოგადო მდგომარეობაში უნახავთ, რომ საჭიროდ უცვნიათ მათი დაუყონებლივ დახურვა.

* * * დამატებითი არჩევნები ბათომში. ხვალ 15 ნოემბერს, ბათომში მოხდება ხმოსნების დამატებითი არჩევნები. ასარჩევია კიდევ 14 ხმოსანი და 8 მათი კანდიდატი.

* * * ცხენის რკინის გზის საქმე ქუთაისში. 16 ნოემბერს ქუთაისის ქალაქის საბჭო განიხილავს კითხვას ქუთაისში ცხენის რკინის გზის გაყვანის შესახებ.

* * * ქუთაისის გუბერნატორი, გენერალ-მაიორი გერშელმანი, როგორც იუწყებიან, სამსახურის გამო ტფილისში მოემგზავრება.

* * * საბალოსნო სკოლის საქმე. კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს 17 კაცმა სთხოვა საბალოსნო სკოლის მმართველის თანამდებობა.

*** ავადმყოფობა ტფილისში. სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა, 12 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე 12 ყვავილით ავადმყოფი აღმოაჩინა ტფილისში.

*** შრომის სახლი. ამ ჟამად შრომის სახლში, რომელიც ამ დღეებში დააარსეს ტფილისში ავჭალის ქუჩაზე, იმყოფება 30 კაცი, რომელთაგან 5 მოხუცებულ ქალია სახლში სამუდამო თავშესაფარი, ხოლო დანარჩენი 25 კაცი მოდის შრომის სახლში სამუშაოდ დილის 8 საათიდან და რჩებიან საღამოს 9 საათამდე. საღამოობით ეძლევათ ჩაი და ნახევარ-ნახევარ გირვანქა პური; ნაშუადღევის 1 საათზე სადილი, რომელიც შესდგება წვენისა, ხორცისა და პურისაგან. გარდა ამისა საზოგადოების გამგეობამ დააწესა კვირაში ორჯერ ექიმისაგან შრომის სახლის მუშების გასინჯვა. ვისაც წამლობა ესაჭიროება, იქვე წამლობენ.

*** საზარელი მკვლელობა. 12 ნოემბერს, ქალაქის მე-5 ნაწილში აბას-აბასის მოედანზედ პოლიციამ საზიზღარი მკვლელობა აღმოაჩინა.

დილის ექვს საათზედ პოლიციამ აბას აბასის მოედანზედ, ქვა-ფენილზედ, თავ. ნ. არღუთინსკი-დოლგორუკის სახლის პირდაპირ თვალი მოჰკრა რაღაც დიდ ტომარას, როდესაც ახლო მივიდა, ტომარაზედ სისხლის წვეთები დაინახა. შემდეგ ხელი წაავლო და დარწმუნდა, რომ შიგ კაცი იყო. იმწამსვე პოლიციელმა შეატყობინა ეს ამბავი მე-5 ნაწილის პოლიციას, რადგანაც იმ წამსვე ბოქაული მივიდა. როდესაც ტომარი გახსნეს, შიგ მოკლულის კაცის გვამი აღმოჩნდა, რომელსაც ჩოხა ეცვა.

გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მოკლული ყოფილა ტფილისის მცხოვრები სარქის მარტიას ძე მარტირუზოვი, 30 წლისა. მარტირუზოვს საკუთარი სახლი ჰქონია ავლაბარში. მკვლელობის წინა დღეს საღამოს, მარტირუზოვი მისული ოქრომჭედლის კონსტანტინე ვართანოვის დუქანში, ოქრომჭედლების ქუჩაზედ. ვართანოვს უნახავს, რომ მარტირუზოვს ფული ქისაში ჰქონია 400 მანეთი ჰქონია და უთქვამს, თუ გინდა, ძლიერ იაფად მოგყიდი მოპარულს ვერცხლეულსაო.

მარტირუზოვი დასთანხმდა თურმე და უთხრა: მაჩვენე ნივთიო. ვართანოვმა მიუგო, რომ ნივთები შინა მაქვს, აქ არვარგა იმათი გასინჯვა, აბას-აბასის მოედანზედ წავიდეთ და იქ ეკატერინე ტერზა. ჩურიოვის ბინაზედ, სადაც მე სარდაფში ვცხოვრობ ახმარუმოვთან და იქა ვნახოთო. როდესაც ბნელ სარდაფში შევიდნენ, მარტირუზოვს დანა დასცა თურმე და მუცელი გაუპო. რათა სრულიად გამოესალმებინა წუთი სოფლისათვის, ვართანოვმა მარტირუზოვს ყელი გამოსჭრა. შემდეგ ამოუღო ჯიბიდან ქისა 400 მანეთით, მოხსნა მოკლულს ვერცხლის ქამარი და ვერცხლის საათი ძეწკვით და თვით გვამი ტომარში ჩასდო. ღამე, როდესაც ქუჩაში მოძრაობა შესწყდა, ტომარა გარეთ გამოიტანა და თავ. არღუთინსკის სახლის წინ დააგდო. მკვლელი წინად მედავითნედ იყო თურმე ეჩმიაძინში, შემდეგ ტფილისში გადმოსახლდა და აქ ოქრომჭედლების ქუჩაზედ სამი დუქანი გაალო, სადაც დღემდის ოქროსა და ვერცხლის ნივთეულობით ვაჭრობდა.

ამ მკვლელობის შემდეგ ვართანოვი სადღაც დაიმალა, მაგრამ პოლიციამ შესაფერი ზომები მიიღო იმის შესაპყრობად.

*** რკინის გზის ბაქნები. ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე გამართულია ამ ჟამად შემდეგი ბაქნები სადგურებს შორის მგზავრთა შორის მისაღებად და დასატოვებლად:

1) ბათომის ნაწილის მე-93 ვერსზე მახენჯაური (ჩერდებიან მატარებლები №№ 3, 4, 7, 8, 10, 11, 12 და 13.)

2) მე-91 ვერსზე, მწვანე კონცხი (Зеленый мысъ) ჩერდებიან იგივე მატარებლები.

3) სადგ. სამტრედიასა და კოპიტნარს შუა, მე-68 ვერსზე - გუბი (მატარებლები №№ 3, 4, 7, 8 და 16).

4) სადგ. ქსანსა და მცხეთას შუა—შიო მღვიმის ბაქ. (მატარებლები №№ 3, 4, 5 და 6).

5) სადგ. ქალადიდსა და ახალსენაკს შუა, ფოთის ნაწ. მე-27 ვერსზე—ქვალონი (მატარებლები 14, 15, 16, 17, 18 და 19).

6) სადგ. მცხეთასა და ავჭალას შუა—ზედაძენი (№№ 3, 4, 5 და 6).

7) სადგ. აბაშასა და ახალსენაკს შუა—ნოსირი (№№ 14, 15, 16, 17, 18 და 19).

8) სადგ. სამტრედიასა და აბაშას შუა—ცხენის ფონი (14, 15, 16, 17, 18 და 19).

9) ქუთაისსა და გელათს შუა—მოწამეთა (№№ 26 და 33).

10) ხაშურსა და სუმბათოვოს შუა—ქვიშხეთი (№№ 5, 6, 34, 40, 59, 60, 318 და 319).

11) ბაქოსა დასაბუნჩას შუა—, ქიშლი, საბუნჩა (№№ 47, 48, 49 50, 51, 52, 53, 54, 56, 63, 64, 65 და 66).

*** დ. სამტრედია. ავკაცობის გახშირება. მას შემდეგ, რაც აქედან ბოქაული ვარდენ ქელბაქიანი გადაიყვანეს, გახშირდა დუქნების გატეხა და ქურდობა. ლამის ჩვენც კი წაგვიყვანოს ქურდ-ბაცაცებმა, თორემ საქონელმა და ფულებმა თქვენი ჭირი წაიღოს.

მოვაჭრეთაგანი

*** ს. ზაქარა. (ქართლი) ჩხუბი სატოლუგზე. სოფ. ბიწმენდის მცხოვრებმა ბ—შვილმა დანიშნა 14 ოქტომბერს ერთი ქალიშვილი, რომელიც ამ სამი წლის წინად დანიშნა გლეხმა გიორგი მთიულაშვილმა. გაიგო თუ არა ეს ამბავი მთიულაშვილმა, გაემართა თავის მშობლებ-ნათესავებით სოფ. ზაქარაში, პირდა-პირ თავის საცოლესას, სახლის კარები დაკეტილი დახვდათ. მთიულაშვილის ნათესავმა მიხა შოტნიაშვილმა ჩაამტვრია კარები და ის-იყო სახლში უნდა შესულიყო, უცებ იქ მყოფმა სასიძომ თოფი ესროლა და სასიკვდილოდ დაიჭრა. ამასობაში ძმებმა მთიულაშვილებმა მოასწრეს სახლში შესვლა და უნდოდათ სასიძოსათვის ხანჯალი წაერთვათ, მაგრამ მან ერთ მათგანს თავში დასცა ხანჯალი. ამ დროს მივიდა სოფლის მამასახლისი ჩაფრებით და ორი ზაქარელი გლეხით, მოხდა კიდევ შეჯახება და ორი კაცი საშინლად გაილახა. ამ დღეებში მთიულაშვილმა ჯვარი დაიწერა თავის საკოლეზე.

*** ს. კულაში (სამეგრელო). წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საჭიროება. კულაშს დღეს ნაკლებად ეტყობა წინ-მსვლელობის ნიშანწყალი. იმ დროს, როდესაც სხვა დაბა-სოფლების ინტელიგენცია შეძლების და-გვარად შრომობს და იღვწის საზოგადოებისათვის, აარსებს სამკითხველოს და სხვა კეთილ დაწესებულებას, კულაშის ინტელიგენცია კრინტსაც არ სძრავს არც ერთ ასეთ საქმეზე, თუმცა დღეს ამ სოფლისათვის დიდს საჭიროებას შეადგენს, მაგალითად, წიგნთ-საცავ-სამკითხველო. აქაური ვაჟბატონების სმა, ჩხუბი და უსარგებლო დროს ტარება გაზეთებშიაც ბევრჯერ ყოფილა მოხსენებული. ასეთ პირთა ზნეობრივად განსპეტაკებას დიდად შეუწყობს ხელს სამკითხველო.

სანუგეშო მდგომარეობას მხოლოდ ის შეადგენს აქ, რომ ამ ბოლო დროს აქაც იმართება ხოლმე სცენის-მოყვარეთაგან წარმოდგენები, მაგრამ კიდევ უფრო სანუგეშო ის იქნება, თუ წარმოდგენების შემოსავალს სამკითხველოსათვის გადასდებენ.

არც ერთ სოფელში არ არის იმდენი თავად-აზნაურობა, რამდენიც სოფ. კულაშშია და ამის გამო, უეჭველია, მოთხოვნილებაც იქნება წიგნის კითხვისა. იმედია, წერა-კითხვის საზოგადოებაც შემოწირობას აღმოგვიჩენს თავის მიერ გამოცემულ წიგნებით.

— გზების უვარგისობა. გაზეთები შევაწუხეთ იმის წერით, თუ რა რიგ გაფუჭებულია კულაშის გზები, რაც მას დღეს ეკონომიურად უკან სწევს და ხალხი დიდს გაჭირვებაში შეჰყავს. ისეთ ნაირად გაფუჭებულია ზოგან აქაური გზები, რომ მათზე გავლა მეტად გაძნელებულია. ასეთს მდგომარეობაშია, მაგალ., მარნიდან მომავალი გზა (მარანი ეწოდება იმ ადგილს, სადაც უწინდელ დროში ჭყონდიდლის მარანი მდგარა), რომელიც ჩაივლის კულაშში და კიდევ ის გზა, რომელიც მიდის ს. ჯვარცმის ეკლესიიდან რამოდენიმე მანძილზე. ამ უკანასკნელს გზას ერთის მხრით დაუყვება თხრილი, რომელშიაც ამ სოფლის მცხოვრებთ წყალი აქვთ გადმოშვებული. თუმცა წყალი მათთვის სასარგებლოა, როცა ზომიერად მიმდინარეობს, მაგრამ როცა ცუდ ამინდში ადიდდება, გზები სულ დაიფარება წყლით, რომელიც ბოგირებს არღვევს და მიაქვს, გზებს თხრის და ისე ავიწროებს, რომ დღეს ზოგან ურემი ურემს გვერდს ვერ აუვლის, და გარდა ამისა რამოდენიმე ხნის შემდეგ-კი ეკლესიაზედ მისვლაც შეუძლებელი გახდება. ასეთ მდგომარეობაშია საჭიროესი გზები, არც სხვა გზებს ადგია კარგი დღე. ადგილობრივმა ბოქაულმა ბ. ტატიშვილმა დააყენა გზების ზედამხედველად რ. შ—ია, რომელსაც უნდა გაეკეთებია და მოეკირწყლა გზები, მაგრამ, სამწუხაროდ ეს ვაჟბატონი არ ასრულებს მთავრობისაგან მინდობილ მოვალეობას. ის მხოლოდ აკეთებს იმ გზებს, სადაც მთავრობა შეხვდება, ან გაივლის, და არა იქ, სადაც საბრალო გლეხ-კაცებს გავლა უჭირთ. დიდად საჭიროა ახალმა ადგილობრივმა ბოქაულმა ყურადღება მიაქციოს ზემო აღწერილ გარემოებას, თორემ რ. შ—ასაგან ხეირი არ იქნება.

ნიკოსშვილი

*** სადგ. საჯავახო. ჩარჩ-ბაცაცების თავ-გასულობა. სადგურ საჯავახოსთან სდგას ორმოცდაათამდის დუქანი. აქ კვირაში ერთჯერ ვაჭრობა იმართება, რომელზედაც ყიდულობენ მთელი კვირის ხორაგს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩარჩ-ბაცაცები და ფეხზედ მოვაჭრე ურიები ჩალის ფასად იგდებენ ხელში ნიგოზს, ლომს, ყველს, ქათამს, კვერცხს და სხვ. ჯერ კიდევ კარგათ გათენებული არ არის ხოლმე, როცა ეს ვაჟბატონები გარბიან და ხვდებიან გზაში მამა-კაცებს და დედა-

კაცებს და სასტიკად ატყავებენ მათ ვაჭრობაში.

რიონის პირელი

*** ს. წევა (ზემო იმერეთი). სკოლის საქმე. ს. წევა არ ჩამოუვარდება სხვა სოფლებს როგორც წერა-კითხვის ცოდნისა, აგრეთვე ვაჭრობის მხრით. ათი წელიწადი იქნება მას შემდეგ, რაც წევაში აგეს ორ სართულიანი ქვითკირის შენობა, მღვდლის მ. ლ—კა მაღრაძის მეცადინეობით, ორ-კლასიანი სამრევლო სკოლისათვის, მაგრამ სამწუხაროდ, მარტო ერთკლასიან სკოლას ვხედავთ აქ და მომავალში ღმერთმა უწყის! რა არის მიზეზი ამ გარემოებისა? შემოსავალი სკოლას აქვს საკმაო, ასე რომ წელიწადში მარტო 15 ივლის გამართულ ბაზრებიდან შემოუდის ასიდან ასორმოცდა ათ მანეთამდე. მოწაფენი დღე-დღეობით ოთხმოცამდის არის, რომლებსაც მეუყაითად ასწავლის მასწავლებელი ბ. ე—თერ. აბესაძე. თვითეული მოწაფე იხდის სწავლის ფასს 3 მ. წელიწადში და თუ სკოლა ორ კლასიანად გადაკეთდა, მაშინ წეველები 5 მ. არ დაიშურებენ და აღარც სხვა სასწავლე… გააბარებენ შვილებს, რო…ც დღეს აბარებენ. ამ საქმის …აბაზე კარგა ხანია რაც მეცა…ინობს და კითხვა აქვს აღძრული … სევასტი გაჩეჩილაძეს. იმედია, …ანაგრძნობას აღმოუჩენენ მას ამ კეთილ საქმეში სკოლის გამგე მღვდლები: მ. ლ—კა მაღრაძე და მ. მ—კარ გაჩიჩილაძე.

დასასრულ ერთი შენიშვნაც, დღეს მრავალთაგან ასწავლით სკოლებში გალობას და ჩვენს სკოლას კი ამ მხრით ჯერ, არაფერი ეშველა. იმედია რომ ჩვენი მასწავლებელი ბ. ე—თერ აბესაძე ეცდება მოწაფეებს გალობა შეასწავლოს და გვაღირსოს ეკლესიაში გალობა, რითაც დიდ მადლობას დაიმსახურებს მთელი სოფლისაგან.

მზრუნველი

## სამეცნიერო ცნობა

…ცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი*)

…ავარ ბუჩქიანი მცენარეები (ПО-…устарники). ამ რიგს ეკუთვ… კინკრიჭო, მოცხარი და ჟოლო.

კინკრიჭო (ქართულად), კრიჟოვნიკ (რუსულად), რიბეს გროსსულარია (ლათინურად), მაშვამირ (სომხური), კალგენ (ოსური), კინეა (ლეკური). ბევრი სხვა-და სხვა ჯურისა, რომლებიც ერთმანერთში ერჩევიან: ნაყოფით, ფერით, სიმსხოთი, დრო დამწიფებით, ფოთლებით, ეკლებით და მცენარის აგებულებით. ეს მცენარე გვარობს ყველგან ყველა ნიადაგზე, სხვა მცენარესავით არ არის ნაზი, უყვარს ნოტიო და ჩრდილიანი ადგილები, ხმელი და ცხელი ადგილები ეჯავრება, ამისათვის ცხელ ადგილებში უნდა დაირგას ხეებს ქვეშ და მოირწყას ხშირად. მისი ყლორტები შემოსილია ეკლებში, ჰყვავის მწვანე-წითელ ფრად, მისი ყვავილით სარგებლობს ფუტკარი, ნაყოფი მწიფდება მაისში და თიბათვეში, ცივ ადგილებში-კი უფრო გვიან. მისი ნაყოფით ამზადებენ: მურაბას, ჟელეს, ღვინოს, ხდიან არაყს და სხვა-და-სხვა სასმელებს.

მრავლდება: თესლით, პატარ-პატარა ტოტებით, გადაწვენით, ფესვების გაყოფით, შემოდგომით და გაზაფხულობით, ხოლო ნამყენებით მარტო გაზაფხულობით—მარტში და აპრილში.

მოცხარი, ხუნცა (ქართ.), სმოროდინა (რუსული), რიბეს (ლათინური), გაგარდჯ (სომხ.), გიკიზილ-გატ (თათრული), კორცო, ხვაცო, ხაცო, ხიჩუ (ლეკური). მცენარე ოც-და-რვა ჯურისაა; მათში თორმეტი ჯურა წითელია, ორი ჯურა ვარდის ფერისა, ოთხი ჯურა თეთრია, ორი ჯურა მოჭრელოა და რვა ჯურაც შავია; ეს მცენარე გვარობს ყველა ნიადაგზე: მთებში, ტყეებში და სასახლის ბაღებში, მაგრამ უყვარს ნოყიერი და ნოტიო ადგილი. დიდ ჩრდილოში კარგად ვერ გვარობს, ყვავის ყვითლად; მისი ყვავილით სარგებლობს ფუტკარი. მცენარე ნაყოფიერია, ასე რომ მთელი მისი ტოტები შემოსილია პატარ-პატარა მტევნებში. რიგიან მოვლით კაცს შეუძლიან მიიღოს მსხვილი თხილის ოდენა ნაყოფი. მისი ფოთლები გარეშემო ამოჭრილია, ფოთლის ქვევითა მხარე შემოსილია წვრილ ბუსუსით; იგივე ერთ მცენარეზე იმყოფება დედალი და მამალი ყვავილი. ნაყოფი მწიფდება მაისში და თიბათვეში.

მისი ნაყოფით ამზადებენ: მურაბას, ჟელეს და სხვა-და-სხვა სასმელებს; მრავლდება: თესლით, პატარ-პატარა ტოტებით, გადაწვენით, ფესვების გაყოფით, შემოდგომით და გაზაფხულობით, ხოლო ნამყენებით-კი მარტში და აპრილში.

ჟოლო-გრიკა (ქართ.), მალინა (რუსული), რუბუს იდეუს (ლათინური), მორენი (სომხური), მორუხ (თათრული), აჩარხაი (აბხაზური), მანერხ (ოსური), გორცო, ცუდაკი, ბაარ, შაჰ (ლეკური). ეს მცენარე ბევრი სხვა-და-სხვა ჯურისაა, მათში რვა ჯურა საზაფხულო*) წითელია, სამი ჯურა თეთრ ანუ ყვითელ ნაყოფიანია, ესეც საზაფხულოა, და ხუთი ჯურა წითელია თვიური. ეს მცენარე სხვა მცენარესავით ნაზი არ არის, გვარობს ყველა ნიადაგზე, მთებში, ტყეებში და ბაღებში, უყვარს ნოტიო და ჩრდილოვანი ადგილი, ხმელ და ცხელ ადგილებს ვერ იტანს, რის გამო ცხელ ადგილებში მალ-მალე უნდა მოირწყას.

ჟოლოს მოაქვს ნაყოფი ერთ წლოვან ყლორტებზე, ჰყვავის თეთრად, ფოთლები გარეშემო ცოტათი ეკლიანია, ზემოთა მხარე მწვანე ფერისა, ქვემოთა მხარე-კი მოთეთრო ფერისა, ამასთანავე შემოსილია პატარა ბუსუსებში. მისი ნაყოფით ამზადებენ: მშვენიერს მურაბას, ჟელეს, ღვინოს, ძმარს და ხდიან არაყს, მაგრამ ყველაზე სასარგებლო ის არის, რომ მისს გამხმარ ნაყოფს ხმარობენ ჩაის მაგიერ გაციების წინაამდეგ და ოფლის მოსადენად. მრავლდება: პატარ-პატარა ტოტებით, თესლითა**) და ფესვების გაყოფით—შემოდგომაზე და გაზაფხულზე.

ამ ჩემ ზემოთ აღწერილ მცენარეების გადარგვა შეიძლება ხოლმე შემოდგომით და გაზაფხულობით, მხოლოდ ცივ ქვეყნებში სჯობია გადირგას გაზაფხულობით, ცხელ ქვეყნებში-კი შემოდგომით. მცენარეების გადარგვამდის ერთი თვით, ანუ სამი კვირით უნდა მომზადდეს ორმოები, სამი ჩარექი სიგანით და ნახევარი არშინი ანუ ათი ვერშოკი სიღრმით, დარგვის დროს ძირში უნდა ჩაეყაროს დამწვავებული სასუქი ანუ ტყის მიწა. როდესაც ორმოს ნახევრამდის მოჰყრით მიწით, მაშინ მიწა კარგად უნდა დაილახოს ფეხით, რომ ფესვებს შუა არ დარჩეს ცარიელი ადგილი და შიგ არ დაგუბდეს წყალი, რომელსაც შეუძლიან დაულპოს მცენარეს მწოვარა ფესვები. მცენარეს დარგვის შემდეგ გარეშემო უნდა გაკეთდეს პატარ-პატარა გუბეები, რომ მორწყვის დროს წყალი არ დაიღვაროს აქეთ-იქით. მთელის ზაფხულის განმავლობაში მცენარეებს გარეშემო თოხით უნდა აეჩვილოს მიწა, გაიმარგლოს ან გაითოხნოს ბალახი, და როდესაც საჭიროება მოითხოვს, უნდა მოირწყას. შემოდგომით და გაზაფხულობით-კი ყოველ წლივ უნდა გაისხლას. მცენარეების გასხვლას აქვს ის მნიშვნელობა, რომ ჯერ ერთი მცენარეებს ემატებათ სანაყოფო ტოტები, მეორეც მათ ეძლევათ შნო და ლაზათი. ამისთანა მოვლით მცენარეები დიდხანს ცოცხლობენ და მსხვილ ნაყოფსაც იძლევიან.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 678.

*) საზაფხულო ჟოლო ერჩევა თვიურ ჟოლოს იმითი, რომ პირველი მთელ ზაფხულის განმავლობაში ერთხელ მოაქვს ნაყოფს, ხოლო მეორე-კი შემოდგომამდის ორჯელ ან სამჯერ მოაქვს ნაყოფს.

**) თესლი სჯობია გაზაფხულამდისინ შეინახოთ ქვიშაში და გაზაფხულზე დაითესოს; პროფესორი ბ. ლენდბეი ამბობს, რომ თესლი ღრმად შენახული მიწაში ინახება ათას შვიდას წლამდისაო. არც უფუჭდება ღივი და არც ჰკარგავს ღირსებასაო.

## რედაქციისაგან

ს. ჭაგანში დამსწრეს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება.

დ. ძველ-სენაკში ევს. ხოფერიას არ ვიცით, რად დაგჭირდათ თითქმის იმავე ცნობის გამეორება, რომელიც ერთხელ უკვე გქონდათ მოხსენებული ჩვენს გაზეთში. ნუ თუ ასეთი გამეორების მიზნად ცალიერი ქება დიდება დაისახეთ, რომლითაც თქვენი წერილი გავსებულია ბ. ენუქიძის შესახებ.

## სხვა-და-სხვა ამბავი

უდიდესი სახელოსნო სკოლა შეერთებულ შტატებში.*) ბრუკლინის სახელოსნო სკოლის მმართველობას არც დედათა სქესის ბედ-იღბალისთვის აქვს თავი მინებებული და დიდის მხურვალებით სცდილობენ მათის კეთილ-დღეობისათვის. მმართველობის უმთავრესი ყურადღება მიქცეულია დედათა სქესის ზნეობრივ განვითარებაზედ. ამ შემთხვევაშიაც აღმზრდელები ჰფიქრობენ, მოწაფე ქალებმა შეითვისონო და შეიგნონ ის აუცილებელი და საჭირო საგნები, რომლებიც მეოჯახობის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ამ სასწავლებელში ამზადებენ სამუშაოდ და არა საზოგადოებაში გამოსასვლელად და ბალმასკარადებში კეკლუცად თავის დასაჭერად. სასწავლებელს დევიზათ აქვს: „მხნე იყავ და განძრიელდიო“. გარდა ამ პირობებისა განსაკუთრებითი ყურადღება მიქცეული ჭრა-კერვასა და შლიაპების კეთებაზედ. განსაკუთრებით ამ ხელ-საქმბისთვის ბრუკლინის სკოლის მესამე სართულში მოთავსებულია რამოდენიმე დიდრონი და ნათელი ოთახები, რომლებშიაც მოწაფე ქალები მეცადინეობენ დახელოვნებულის ოსტატების ხელმძღვანელობით. ამ განყოფილებაში იმ პირთ არ იღებენ, რომლებმაც სრულიად ჭრა-კერვა არ იციან. სხვათა შორის, მოწაფე ქალებს აგონებენ და ასწავლიან ავადმყოფების მოვლას. როდესაც ექიმები სამკურნალოში ავადმყოფებს „აპერაციას“ უკეთებენ, მოსწავლე ქალებიც ესწრობიან და ერთი ქა…-ექიმთაგანი უხსნის მათ, თუ სნეულება საიდგან მომდინარეობს და ან რა ზომები უნდა იყოს მიღებული განსაკურნებლად.

*) იხ. «ცნ. ფურცლის» № 677.

გონების განსავითარებლად და სავარჯიშოდ ბრუკლინის სკოლაში მშვენიერად მოწყობილი მუზეუმია. მუზეუმში მოიპოვება ყველა ის სანიმუშო საგნები, რომლებიც მოწაფეთ თეორიულად შეუსწავლიათ.

ყველა ეს სანიმუშო საგნები მოტანილია ყველა ხმელეთის კუთხეებიდგან და მოწაფეები მუზეუმში ხშირადაც დაიარებიან, რადგანაც დიდათ აინტერესებთ ამ საგნების ნახვა და შესწავლა. სამხატვრო განყოფილებას მთელი ერთი სართული უჭირავს. აქ მოწაფე ქალები ხატავენ სანიმუშო შლიაპებს და ტანთ-საცმელს, მხოლოდ ვაჟები ყოველ გვარ სახელოსნო საგნებს: საზარატოს, სამჭედლოს და სხვ. ყველა ზემო მოყვანილი საგნები ორივე სქესთა მოწაფეებისთვის სავალდებულოა, ხოლო დაარსებულია განსაკუთრებითი კლასები, რომლებიც ყველასათვის სავალდებულო არ არის, არამედ სურვილზეა დამყარებული. ამ კლასებში ასწავლიან: კალატოზობას, ქვის მთლელობას, კედლების დებვას და სხვ. ამ კლასებში განსაკუთრებით კურს-დამთავრებულები დაიარებიან, რომლებსაც სურთ, რომელიმე ამ ხელობათაგანი სპეციალურად შეისწავლონ.

ბრუკლინის სკოლის ბიბლიოთეკაში 30,000 წიგნია და დაახლოვებით 200 პერიოდული გამოცემები. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიანთ ორივე სქესის მოწაფეთ, რომლებიც თოთხმეტ წლიწადზე ნაკლები არ არიან; ყოველ საღამოს ბიბლიოთეკა ელექტრონის შუქით არის განათებული.

სკოლაშივე არსებობს შემნახავი კასა, სადაც ფული შეაქვთ თავიანთ სასარგებლოთ. ათის წლის შემდეგ ფულიც უკან უბრუნდებათ სარგებლით და პრემიაც ეძლევათ. სკოლის წინ დიდი სასეირნო და სათამაშო მოედანია, სადაც ორივე სქესის მოწაფეები ფიზიკურად ვარჯიშობენ და ვითარდებიან დროთა-დრო ბრუკლინის სახელოსნო სკოლას კლასები და მოწაფეები ემატება, ფართოვდება და განვითარებაში მიდის.

ივ. კავთელი

(შემდეგი იქნება)

# წვრილი ამბავი

საშიში შვილკები, ვარშავის გაზეთში გვაუწყებენ შემდეგს შემთხვევას. ვარშავაში ვიღაც ქალს გ—. როგა თმას იხუჭუჭებდა, უეცრად გახურებული მაშა ცელიულოიდის შპილკებს მოხვედრია, რომლებიც თმაში ჰქონია გაკეთილი. როგორც კი გახურებული მაშა შეხებია, შპილკა ანთებულა და ცეცხლი თვალის დახამხამებაზე მთელ თმაზე მოსდებია ქ-ნს გ—ს. ქალს დროზე მიეშველნენ და საფრთხეს გადაარჩინეს. ასეთი შემთხვევა გაუფრთხილებლობის გამო ხშირად ხდება, რადგან ცელიულოიდის შპილკებს ამჟამად ქალები ძალიან ეტანებიან.

### ყურმოკრული საუბარი

ერთმა მებატონემ მოსამსახურე დაიჭირა და უთხრა:

— აი, ჯამაგირი და ტანისამოსსაც მე ჩაგაცმევ. გაიღვიძე დილა-დილაზე, ბატონმა ზარი დაურეკა, მაგრამ მსახური არსად იყო. ჩაიცვა ბატონმა და მსახურთან შევიდა. ზარს რომ ვრეკ არ გესმის?

— როგორ არა ბატონო!

— მაშ რატომ არ მოხვედი?

— ვერ გავბედე!

— როგორ თუ ვერ გაბედე?

— ისე, ბატონო, რომ როცა ჯამაგირს გამირიგდი ისე არ მიბრძანე, ტანისამოსს მე ჩაგაცმევო.

—

რედაქტორი თანამშრომელს უსაყვედურებს:

— შაშა, შე დაწყევლილო ეს სადღვინე რად გამოგიცლია.

— ეგ იმიტომ, რომ ვასოს უნდოდა დაეცალა.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ნოემბერი

**პეკინი.** ბოგდიხანი ისევ მძიმე ავად არის. ამბობენ, რომ სხვის დაუხმარებლად სიარული [illegible] შეუძლია მასო. საქმის მცოდნე კაცების სიტყვით დიდხანს ვერ იცოცხლებსო იგი.

**კანეა.** სიმაგრის ერთი ნაწილი „იზედინი" სულის ნავთსადგურში დაქცეულ იქმნა.

**პარიზი.** საკასაციო პალატა ისმენს პიკარის ჩვენებას.

„Matin"-ი ამტკიცებს, რომ მართლა გასჩხრიკეს კიდევ სახლებიო და 43 წერილში, რომელიც გაჩხრეკის დროს იპოვნეს, 5 დრეიფუსის საქმეს შეეხებაო. წერილები ესტერგაზის სახელობაზე არის გამოგზავნილი სხვა და სხვა სამხედრო კაცთაგან 1894—1895 წ. თარიღით. „ამის შემდეგ ეჭვი აღარავის უნდა ჰქონდეს, რომ როლს თამაშობდა ესტერგაზი დრეიფუსის საქმეში", „Matin"-ი გვარწმუნებს, ვითომც ბუალერფის ჩვენებიდგან გამოდიოდეს, რომ მთავარ-შტაბის უფროსად ნამყოფმა დაწვრილებით იცოდა ის ფაქტები, რომლის გამო პიკარმა ეჭვი აიღო ესტერგაზზე, და სახელდობ მაშინ გამგზავნეს პიკარი განსაკუთრებული მინდობილობით ალჟირში.

**ბერლინი.** საფრანგეთსა და იტალიის შორის დადებულ სავაჭრო ხელ-შეკრულობის გამო „Klein. Jour." სწერს: „თუმცა როგორც ორთა, აგრეთვე სამთა კავშირები ჯერ კიდევ მაგრა არიან დამყარებულნი, მაგრამ მაინც მათ შორის დამოკიდებულებას სასიხარულო ცვლილება დაეტყო, ჩვენს იმპერატორსა და იმპერატორ ნიკოლოზის შორის სრული თანხმობა სუფევს მთავარ საპოლიტიკო კითხვებში, რაც შეეხება საფრანგეთს, ჩვენი ხელმწიფე არც ერთს შემთხვევას არ გაუშვებს, რომ თავისი მშვიდობის-მოყვარეობა არ განაცხადოს. იმპერატორი ფრანც-იოსებს, მრავალჯერ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ კითხვის დროს, განუცხადებია, რომ რუსეთის პოლიტიკის თანხმად ვიმოქმედებ, თუმცა ამავე დროს გერმანიასთან სამეგობრო განწყობილებას არ ვულალატებ, როგორც სამთა კავშირის წევრიო. ამ ბოლო დროს საფრანგეთს უფრო და უფრო ეტყობა, რომ გერმანიასთან დაახლოვებას არის მოწადინებული. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვოცნებობთ უფრო მეტად დაკავშირებას, მაგრამ ანგლო-საქმეთა გაძლიერებამ, როგორც ეს ესპანია-ამერიკის ომის დროს აღმოჩნდა და უფრო კი ფაშოდის საქმეში, პარიზი დააფიქრა. იტალიაც სცდილობს ეხლა დაუახლოვდეს საფრანგეთს.

**ლონდონი.** ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის მოლაპარაკებაა კუნძულ სოკოტორზე ნახშირის საწყობის გამართვის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებაც, რომ ეს კუნძული იჯარით გარდაეცეს შეერთებულ შტატებს.


# განცხადებანი

**ქერის ყავა**

(სოლოდისაგან)

ერთი ქილა ღირს 25 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო მაღაზიებში

(5—3)

იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

მ. ღაღიძის გამოცემული წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| რჩეული ლექსები და უკვდავი სარდალი, ცახელისა | 10 | კ. |
| ნათელა, პოემა აკაკისა | 20 | კ. |
| გამზრდელი, მისივე | 5 | „ |
| მოდა | 5 | „ |
| საუკეთესო ლექსა კრება | 5 | „ |
| მარო, დ. მაჩხანელისა | 3 | „ |

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად

პოემების კრებული

| | | |
|---|---|---|
| აჩრდილი, მომაკვდავის ჩვენება და იმედი | 5 | კ. |

(50—2)

**Годъ второй.** ОТКРЫТА ПОДПИСКА **Годъ второй.**

на 1899 годъ

*на еженедѣльную литературно-политическую и научно-популярную газету*

# „РОССІЯ И АЗІЯ"

(Подписной годъ съ 1 Ноября 1898 г. по 1 Ноября 1898 г.)

Годовая цѣна безъ доставки **5 руб.**, съ доставкой и пересылкой—**6 руб.**, заграницу **7 руб.**, за полгода безъ доставки **3 руб.**, съ доставкой и пересылкой **4 руб.**, заграницу—**5** руб. Допускается разсрочка для годовыхъ подписчиковъ по 3 руб. въ два срока, или по 2 руб. въ три.

Адресъ Редакціи: *КІЕВЪ. Паньковская, д.* **№ 12.**

Газета дастъ въ теченіе года: 1) 50 номеровъ «Научно-литературнаго отдѣла», посвященнаго Востоку, еврейству, инородцамъ, **Кавказу**, Туркестану и Сибири и 3) 4 книги приложеній подъ названіемъ „Альманахъ Россіи и Азіи», въ которои войдутъ;

I. **Арменія**. Сборникъ статей различныхъ Русскихъ и иностранныхъ авторовъ объ Арменіи, ея исторіи, литературѣ о отрывки изъ произведеніи Армянскихъ писателей.

II. **Спиноза.** Біографія и лучшія произведенія знаменитаго Еврейскаго философа-пантеиста съ критическимъ комментаріемъ.

III. I томъ «Полнаго Собранія сочинении» знаменитаго романнста Георга Еберса, автора романовъ «Дочъ Египетскаго царя», «Императоръ» и пр.

IV. **Моріеръ.** Мирза Хаджи-Баба Исфагани. Новый переводъ съ Англійскаго по порученію Редакціи. (Эта книга была переведена въ сороковыхъ годахъ Барономъ Брамбеусомъ и представляетъ изъ себя романъ, состоящій изъ забавныхъ, юмористическихъ сценъ изъ жизни Востока вродѣ Жильблаза Лесажа),

Всѣ годовые подписчики „Россіи и Азіи" за прошлый годъ будутъ получать изданіе цѣлый годъ БЕЗПЛАТНО. Оставшіеся экземпляры „Россіи и Азіи" за прошлый годъ новые подписчики могутъ получить за 3 руб.

Объявленія—10 коп. строка корпуса.

(7—7) Редакторъ-издатель прив. доц. **А. Н. Гренъ.**



Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Ноября 1898 г. სტ. „ან. ფურ." (ვ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია